

გარემოს კონსერვაცია

გლობალური გარემოს დაცვა



სუფთა ენერჯია (ფოტო Getty Images-სგან)

ნარჩენების განკარგვა და გადამუშავება

იაპონიაში ნარჩენების (არა სამრეწველო) მოცულობა პრობლემად იქცა, რადგან ის 1990 წლიდან მოყოლებული წლიურად 50 მილიონ ტონას აჭარბებს. ნაგავსაყრელები რამდენიმე წელიწადში ზღვრულ რაოდენობას მიაღწევს, ნაგვის დაწვა კი გარემოს დიოქსინით დაბინძურებას იწვევს. ამრიგად, ნარჩენების გადამუშავების პრობლემა მნიშვნელოვანი გახდა ნაგვის მოცულობის შემცირების მიზნით. 2010 წელს გადამუშავებული ზოგადი ნარჩენების (ნაგვის) კოეფიციენტი იყო 20,8%.

2011 წელს იაპონიაში უკვე გამოყენებული ქაღალდის კოეფიციენტი წარმოებული მოცულობის 77,9% შეადგენდა; ხოლო გამოყენებული ქაღალდის გადამუშავების მაჩვენებელი 63% იყო, რაც მსოფლიოში მეორადი გამოყენების ქაღალდის გადამუშავების ერთერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

1997 წლის აპრილში, შეფუთვისა და კონტეინერების გადამუშავების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, პოლიეთილენის ტერეფტალატის ბოთლების და მინის ბოთლების გადამუშავებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა მწარმოებლებს. შეფუთვა და კონტეინერები წარმოადგენს ზოგადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჯამური წონის 20-30%, მაგრამ მათი დიდ მოცულობის გამო, ისინი იკავებენ საერთო მოცულობის 60%-ს. ეს კანონი გულისხმობს ნაგვის გადაყრის/გადამუშავების ხარჯების გადანაწილებას კომპანიებს, მომხმარებელსა და მუნიციპალიტეტს შორის. მის მიღებამდე კი ეს ხარჯი ფინანსდებოდა გადასახადებიდან. როდესაც მომხმარებლები აგდებენ კონტეინერებს, მათ მოეთხოვებათ მათი წინასწარ დახარისხება. მუნიციპალიტეტის სპეციალურად განკუთვნილ ტერიტორიებზე ხდება დახარისხებული ნარჩენების შეგროვება, რათა შემდეგ მწარმოებელმა გადამუშაოს ის. 2000 წლის აპრილიდან, ამ კანონის თანახმად, ქალაქისა და პლასტმასის შეფუთვაც ექვემდებარება გადამუშავებას.

იაპონიაში გადაყრილი საყოფაცხოვრებო ელექტრო საქონლის თითქმის 100% ნაგავსაყრელზე ხვდება. 1998 წელს ძალაში შევიდა კანონი კონკრეტული საყოფაცხოვრებო ელექტრო საქონლის გადამუშავების შესახებ, რათა შემცირებულიყო ნაგავსაყრელზე ამგვარი ნარჩენების მოხვედრა.

გარემოს დამცველთა მოძრაობები



ტენჯინმაკი, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების ნიმუში
იაპონიაში ეროვნული ფონდის საქმიანობა დაიწყო ტენჯინმაკის კონცხის გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების მცდელობით, ვაკაიამას პრეფექტურაში (ფოტო ტენჯინმაკის ეროვნული ფონდისგან)

დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, იაპონიაში გარემოს დამცველთა ჯგუფებს შედარებით მცირე მასშტაბი და მოკლე ისტორია აქვს. ყველაზე დიდი ზომის დაჯგუფება იაპონიაში არის იაპონიის გარეულ ფრინველთა საზოგადოება, რომელიც 40,000 წევრს ითვლის; მსოფლიო მასშტაბის მქონე იაპონიის ბუნების ფონდის წევრების რაოდენობა კორპორატიული წევრების ჩათვლით 43,000 აღწევს; იაპონიის გარემოს კონსერვაციის საზოგადოებას 24,000 წევრი ჰყავს და გარემოს კონსერვაციის მიმართულებით 5,000-ზე მეტი მცირე ზომის ჯგუფი მოქმედებს. ამ ჯგუფებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივთა დასახმარებლად, ცოტა წევრი ჰყავთ, მაგრამ მათგან ბევრს მოელიან მომავალში. იაპონიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები საზღვარგარეთაც აქტიურ მოღვაწეობას ეწევიან.

იაპონიაში მოქმედებს ეროვნული ფონდი, რომელშიც ადამიანთა ჯგუფი ერთიანდება და ინაწილებს მიწის ნაკვეთის (იმ ტერიტორიებზე, სადაც გარემო სავალალო მდგომარეობაშია) შენარჩუნების ხარჯებს. ამგვარი მიწის ნაკვეთი შეიძლება თავად ფონდსაც გადაეცეს. ამ ტენდენციას სათავე დაედო შირეტოკოში (ჰოკაიდო) და ტენჯინმაკიში (ვაკაიამას პრეფექტურა) და ამჟამად მთელ იაპონიას მოიცავს. გარემოს მდგომარეობის შენარჩუნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტყეებისა და ჭაობების შენარჩუნებით, ის ასევე მოიცავს ქალაქში არსებულ მწვანე

ზოლებს. იმისათვის, რომ ბაზარზე მომხდარიყო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების, მასალებისა და მომსახურებების პოპულარიზაცია და ხელი შეეწყობოთ მისი რეალიზაციისთვის, კერძო ჯგუფებმა და კორპორაციებმა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარმა გაერთიანებებმა და გარემოს დაცვის სააგენტომ (რომლის ადგილზე დღეს თავად გარემოს დაცვის სამინისტროა წარმოდგენილი) 1996 წლის თებერვალში ჩამოაყალიბეს სპეციალური ქსელი. მომხმარებლებისთვის გამოიკა ინსტრუქცია, რომლის მიხედვით პრიორიტეტი იმ სახის პროდუქტებსა და მომსახურებებს ენიჭება, რომელიც გარემოს ზიანს არ აყენებს.

მუნიციპალიტეტები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ რეგიონულ განვითარებას, რომელიც გარემოს დაცვასაც ითვალისწინებს, როგორცაა ენერჯის კონსერვაცია და ნარჩენების გადამუშავება. კუნძული იაკუშიმა (კაგოშიმას პრეფექტურა), რომელიც UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შესული, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნებას იმგვარი ზომებით ცდილობს, როგორცაა ნაგვის გადაყრის მინიმუმამდე შემცირება, სამზარეულოს ნარჩენების კომპოსტირება და საკვები ზეთის საავტომობილო საწვავად გადამუშავება.

სტუდენტების დასახმარებლად გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავებაში და გარემოს შესახებ კვლევების ჩატარებაში, გარემოს დაცვის სააგენტომ 1995 წლის ივნისში მოუწოდა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს მონაწილეობა მიეღოთ ახალგაზრდული ეკოლოგიური კლუბის აქტივობებში. დამოუკიდებელი აქტივობები მოიცავს წყლის ფლორისა და ფაუნის შესწავლას, ასტრონომიულ დაკვირვებებს, ცარიელი ქილების გადამუშავებას, ასევე გაცვლით პროგრამებს, რომლებიც სახელმწიფო დონეზე, პირდაპირ ადმინისტრაციული ოფისებიდან ფინანსდება. 2010 წლის მდგომარეობით ამ ინიციატივებში ჩართული იყო 3,000 ჯგუფი, დაახლოებით 170,000 ადამიანი.

იაპონიის თანამშრომლობა გარემოს დაცვის საქმეში



ODA-ს პროექტი ტყეებისათვის (ფოტო JICA-სგან)

იაპონიის განვითარების ოფიციალური მხარდაჭერის პროგრამა (ODA) მრავალ ეკოლოგიურ საკითხს მოიცავს, როგორცაა მაგალითად, წყალმომარაგებისა და წყალ-კანალიზაციის სისტემების ტექნიკური მომსახურება, ნარჩენების გატანა და გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ზომები, როგორცაა სტიქიური უბედურებების პრევენციული ზომები, ტყეების შენარჩუნება და ატმოსფერული და წყლის დამაბინძურებლების თავიდან აცილება. ენერჯის კონსერვაცია და ახალი ენერჯის ტექნოლოგიები წარმოადგენს იაპონიის

ეკოლოგიური თანამშრომლობის ძირითად საკითხებს. XXI საუკუნის მდგრადი განვითარების ინიციატივის მიხედვით, რომელიც მთავრობამ 1997 წელს გამოაცხადა, იაპონია მრავალ ეკოლოგიურ თანამშრომლობაშია ჩართული, რისი ერთერთი მაგალითიცაა აღმოსავლეთ აზიაში მჟავა წვიმების მონიტორინგის ქსელის დაარსება. იმისთვის, რომ გაუმკლავდეს გლობალური კონსერვაციის პრობლემებს, რომელთა გადაჭრა ორმხრივი თანამშრომლობით შეუძლებელია, იაპონია, როგორც მთავარი მოთამაშე, აქტიურადაა ჩართული მრავალ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორცაა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP), საერთაშორისო ტროპიკული ხის ორგანიზაცია (ITTO) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).



ეკოტურიზმი
(ფოტო მიცუბიშის კორპორაციისგან)

ბოლო დროს სულ უფრო იზრდება იაპონური კომპანიების ინტერესი ტყეების განაშენიანებასა და გადამუშავებაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რაც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზეც დადებითად აისახება. კორპორაცია მიცუბიში, რომელიც იაპონიის უდიდესი სავაჭრო კომპანიაა, ამჟამად ექსპერიმენტულ პროექტს ანხორციელებს მალაიზიასა და ბრაზილიაში, რომელიც ტროპიკული ტყეების აღდგენას ისახავს მიზნად. ტყეების გაწმენდის მიზნით გაჩეხვის შემდეგ და ძლიერი წვიმების გამო იწყება მიწის ეროზია. ამგვარი

ადგილებისთვის პირვანდელი იერსახის დაბრუნებას 300-500 წელი მაინც სჭირდება, თუმცა ტყეების გაშენების ტექნოლოგიების მიმართულებით ბოლო პერიოდის კვლევებმა, რომელიც იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის, მიაჰაკი აკირას კონცეფციას ეფუძნება, აჩვენა, რომ მათი აღდგენა შედარებით მოკლე დროშიც შესაძლებელია. ამასთან ერთად, მრავალი იაპონური სავაჭრო და ქალაქის მწარმოებელი კომპანია აქტიურადაა ჩართული ტყეების განაშენიანებაში საზღვარგარეთ.